პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 84 (20680) — პარასკევი, 9 თებერვალი, 1990 წელი. — ფასი 8 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1990 წლის 7 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გრძელდებოდა პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტისა და ამ საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების განხილვა.

პლენუმზე გამოვიდნენ: **კ. მახკამოვი** — ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **ვ. ი. მირონენკო** — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **ა. მ. მასალიევი** — ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **გ. ხ. ბაშტანიუკი** — საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი; **ვ. ტ. საიკინი** — მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე; **ა. ბ. ზალიევი** — საწარმოო გაერთიანება „თურქმენგაზმრეწვის“ ბურღვის ოსტატი; **ხ. ხ. ალექსეევი** — საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ურალის განყოფილების ფილოსოფიისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი.

პლენუმზე შექმნილი სარედაქციო კომისიის სახელით გამოვიდა **გ. პ. რაზუმოვსკი.**

სარედაქციო კომისიის წინადადებათა ყოველმხრივი განხილვის შემდეგ პლენუმმა მოიწონა შემოსული შენიშვნებისა და განხილვის გათვალისწინებით დახვეწილი პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტი (პრესაში გამოქვეყნდება) და მიიღო დადგენილება ამ საკითხზე.

პლენუმზე გაგრძელდა ლიტვის კომპარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

ამ საკითხზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **მ. ს. გორბაჩოვი.**

პლენუმზე გამოვიდნენ: **ა.-მ. კ. ბრაზაუსკასი** — ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **მ. მ. ბუროკევიჩიუსი** — ლიტვის კომპარტიის (სკკპ პლატფორმაზე) დროებითი ცენტრალური კომიტეტის მდივანი; **ვ. ა. კუპცოვი** — სკკპ ვოლოგდის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; **ა. პ. კლაუცენი** — ლატვიის კომპარტიის რიგის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი; **ვ. ნ. შვედი** — ლიტვის კომპარტიის (სკკპ პლატფორმაზე) დროებითი ცენტრალური კომიტეტის მდივანი; **ნ. მ. ერშოვა** — საწარმოო გაერთიანება „ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის მანქანათმაშენებელი ქარხნის“ გამმართველი, ქ. პერმი; **ა. ნ. იაკოვლევი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი; **ი. დ. მასლიუკოვი** — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე; **ი.-ვ. ი. პალეეცისი** — ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი; **ვ.-ი. ი. კარდამავიჩიუსი** — ლიტვის კომპარტიის (სკკპ პლატფორმაზე) დროებითი ცენტრალური კომიტეტის მდივანი; **ი. კ. ლიგაჩოვი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

პლენუმმა ამ საკითხზე მიიღო დადგენილება, რომელიც პრესაში ქვეყნდება.

საბოლოო სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე წარმოთქვა **მ. ს. გორბაჩოვმა.**

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1990 წლის 7 თებერვლის დადგენილება

პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტის შესახებ

1. მოწონებულ იქნეს [illegible] **განხილვისა და პლენუმის მონაწილეთა მიერ** [illegible] **გათვალისწინებით პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტი.**

2. გამოქვეყნდეს პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური [illegible] **პროექტი პრესაში პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტებსა და ყველა შრომელს შორის ფართო განხილვისათვის.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1990 წლის 7 თებერვლის დადგენილება

ლიტვის კომპარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ

1. **სკკპ** ცენტრალური კომიტეტის პლენუმს ლიტვის კომპარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან მისი ორგანიზაციულ-პოლიტიკური კავშირის გაწყვეტად მიაჩნია.

პლენუმი გმობს ასეთ მოქმედებას, რადგან იგი ძირს უთხრის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთიანობას და დიდ ზიანს აყენებს საბჭოთა ფედერაციის, მთლიანად საზოგადოების განახლების პროცესებს.

2. პლენუმი მხარს უჭერს იმ ლიტველ კომუნისტებს, რომლებმაც შექმნეს ლიტვის კომპარტიის (სკკპ პლატფორმაზე) დროებითი ცენტრალური კომიტეტი, ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულნი, დარჩნენ და მხარს უჭერენ რევოლუციურ გარდაქმნების საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დემოკრატიზაციისა და განახლების პირობებში, რომელიც რაზმავს ჩვენი მრავალეროვანი კავშირის ყველა ხალხს.

პლენუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ავალებს ყოველნაირად დაეხმაროს ლიტვის კომპარტიის (სკკპ პლატფორმაზე) დროებითს ცენტრალურ კომიტეტს პრაქტიკულ საქმიანობაში და ამისათვის შეუქმნას შესაბამისი მატერიალური და ფინანსური პირობები.

3. პლენუმი ერთხელ კიდევ მოუწოდებს იმ ლიტველ ამხანაგებს, რომლებიც ლიტვის დამოუკიდებელ კომპარტიაში შევიდნენ, შეაჩერონ სკკპ XXVIII ყრილობამდე ლიტვის კომპარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა ის ნაწილი, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების მოქმედებას ეხება, და ამ საფუძველზე სკკპ პლატფორმაზე მდგომ ლიტვის კომპარტიასთან ერთად აირჩიონ სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატები.

პლენუმი მოუწოდებს ლიტვის კომუნისტებს ჩაერთონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის საყრილობო პროექტის განხილვაში, შეიგნონ თავიანთი ისტორიული პასუხისმგებლობა ლიტველი ხალხის, მთელი ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ბედისათვის, რევოლუციური გარდაქმნის ბედისათვის.

ᲓᲐᲡᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ

გრძელდება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან:

წითელწყაროს ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე **იოსებ სერგოს ძე ქართველიშვილი** — ამ საბჭოსაგან.

წითელწყაროს რაიონის წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გაერგების თავმჯდომარე **ილია იოსების ძე ნატროშვილი** — საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეულის“ წითელწყაროს კარიერის სამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის შალის საქსოვი ფაბრიკის სართავი საამქროს ქვეოსტატი **იაგო პარმენის ძე ავსაჯანიშვილი** — ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის № 121 საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე **მეგი მიხეილის ასული ანდღულაძე** — საბავშვო ბაგა-ბაღის შრომითი კოლექტივისაგან.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კავკასიის განყოფილების უფროსი **ანზორ ალექსანდრეს ძე გაბიანი** — საქართველოს სსრ იურისტთა კავშირისაგან.

თბილისის № 6 ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარი ექიმი **ქეთევან გაიოზის ასული სტურუა** — ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიონის ქალთა საბჭოსაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი **ირაკლი სერგოს ძე ფორდანია** — საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირისაგან.

შემოქმედი ახალგაზრდობის ექსპერიმენტული ცენტრის საინფორმაციო საგენტო „მაცნეს“ ეკონომისტი **გიორგი თამაზის ძე ჯიქია** — საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოებისაგან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი **მაშუკა შალვას ძე მინდელი** — საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირისაგან.

რუსთავის № 30 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი **ნანა ლომოკის ასული მაისურაძე** — საბავშვო ბაგა-ბაღის შრომითი კოლექტივისაგან.

საწარმოო გაერთიანება „საქგეოლოგიის“ გენერალური დირექტორი **ირაკლი კონსტანტინეს ძე გოგიტიძე** — ბოლნისის რაიონის ბოლნისის საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი **ოლეგ ბორისის ძე შატბერაშვილი** — საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირისაგან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტის უფროსი ლაბორანტი **თეიმურაზ მიხეილის ძე ყორეულიანი** — საქართველოს ექიმთა ასოციაციისაგან.

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თეორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე **ვლადიმერ (ლადო) გრიგოლის ძე ყარგარეთელი** — საქართველოს არქიტექტორთა კავშირისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემათა ინსტიტუტის განყოფილების გამგე **ვლადიმერ ვალერიანის ძე ჭავჭანიძე** — საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირისაგან.

• • •

7 თებერვალს შუაღამისათვის დამთავრდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. უკანასკნელ დღეებში მათი რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. დეპუტატის მანდატის ყველა პრეტენდენტის გვარი გამოქვეყნდება.

დეპუტატობის კანდიდატებად დასახელეს:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი **შოთა ალექსანდრე ძე ადამია** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

თბილისის №7 ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარი ექიმი **ლეილა ხპირიდონის ასული ჯანჯღავა** — პოლიკლინიკის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი **გივი სერგოს ძე შოდოროვი** — თბილისის №86 და №110 საშუალო სკოლების შრომითი კოლექტივებისაგან.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ა. წულუკიძის სახელობის უროლოგიისა და ნეფროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი **ლავრენტი გრიგოლის ძე მანგაძე** — თბილისის №105 საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიკომის მეორე მდივანი **მანანა აკაკის ასული გოჩალიშვილი** — ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიონის ქალთა საბჭოსაგან.

გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორი **ნიკოლოზ უშანგის ძე ჯაში** — ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოსაგან.

თბილისის №1 საქალაქო კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი **არჩილ კარლოს ძე ბორჯაძე** — თბილისის № 180 საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომისიაში

კომისიაში განიხილეს საგანგებო მდგომარეობა, რომელიც იქმნება ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვაში საკავშირო საშუალებათა წარმოების მკვეთრი შემცირების გამო.

სსრ კავშირის სამედიცინო მრეწველობის სამინისტროს მონაცემებით, 1989 წელსა და 1990 წლის დამდეგს ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა და სანატორიუმმა სამსახურებმა მიიღეს გადაწყვეტილება დახურონ ან ნაწილობრივ შეწყვიტონ მთელი რიგი წარმოებებისა და საწარმოების საქმიანობა, რომელთაგან ორაგალი სამედიცინო პროდუქციის წარმოებისათვის განკუთვნილი უმნიშვნელოვანესი სახეობის ნედლეულისა და მასალების ერთადერთი გამომშვებია ქვეყნაში. მაგალითად, სსრ კავშირის მეტალურგიის სამინისტროს კიროვოგრადის სპილენძამადნიან კომბინატში ქლორსულფომჟავის საამქროს დახურვას მოჰყვება ისეთი სამედიცინო პრეპარატების წარმოების შემცირება, როგორიც არის ანალგინი, ამიდოპირინი, ნორსულფაზოლი, სულგინი, სულფალენი, ქალაქ ერევანში საწარმოო გაერთიანება „საირიტის“ სომძლავრეთა შეჩერება გამოიწვევს გელსისხლძარღვთა პრეპარატების (ოფიცინალინის, კოფეინის, ზოთილინის) სიცოცხლისშემნარჩუნებელი ... ტკივილის გამაყუჩებელი ... ების (ამიდოპირინი, პრომედოლი), ვიტამინების (ა, ე და ვ ჯგუფები) წარმოების შეწყვეტას. ქალაქ კემერეროვოში საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ მიერ დემითილფორმამიდის წარმოების შეწყვეტა საშუალებას არ მოგვცემს მივიღოთ 14 დასახელების სამკურნალწამალო საშუალებები, მათ შორის ანტიბიოტიკები, რენტგენულ-კონტრასტული ნივთიერებები, გულ-სისხლ ძარღვთა და სხვა უმნიშვნელოვანესი მედიკამენტები. კიევის ქიმიკატების ქარხნისა და ქალაქ დნეპროძერჟინსკის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ დახურვა შეაჩერებს ამპიცილინის, სულფალენის, ლევომიცეტინისა და სიმპტომიცინის გამოშვებას. შეწყდება ანთებასაწინააღმდეგო და კუჭ-ნაწლავის პრეპარატების მიწოდება აფთიაქებსა და საავადმყოფოებში.

1 თებერვალს კომისიამ მიიღო შემაშფოთებელი ინფორმაცია სსრ კავშირის ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს საკის ქიმიური ქარხნის კოლექტივისაგან იმის თაობაზე, რომ უახლოეს დღეებში შეჩერდება ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი კალიუმპერმანგანატის გამომშვები საწარმო, რადგან ბახჩისარაის სამშენებლო ინდუსტრიის კომბინატმა უარი თქვა მიიღოს გადასამუშავებლად მანგანუმის შლამები, იმის მიუხედავად, რომ არის სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების დასკვნა მათი არატოქსიკურობის შესახებ.

სსრ კავშირის სამედიცინო მრეწველობის სამინისტროს შეუძლებლობის გამო ნედლეულის უკმარისობის გამო ქვეყნაში მედიკამენტების წარმოება 30-40 პროცენტით შემცირდება.

აღინიშნა, რომ გადაწყვეტილება სამრეწველო საწარმოებისა და წარმოების საქმიანობის შეჩერების ან მათი სიმძლავრეების შეზღუდვის შესახებ, როგორც წესი, მიღებულია ამ საწარმოების მიერ ბუნების დაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა სისტემატური დარღვევების გამო. სსრ კავშირის ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხე-ტყის მრეწველობის სამინისტროსა და აგროქიმს დიეველათ გააანალიზონ მათ საქვეუწყებო საწარმოებში ბუნებისდაცვითი ღონისძიებების შესრულების ჩაშლის მიზეზები და მკაცრი პასუხისმგებლობა დააკისრონ ამ საქმეში ბრალეულ პირებს.

ამავე დროს არ შეიძლება საფრთხე შეუქმნათ მილიონობით საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობას მთელი რიგი საარსებო მნიშვნელობის სამედიცინო პრეპარატების უქონლობის გამო. ამიტომ კომისიამ დაავალა სსრ კავშირის ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხე-ტყის მრეწველობის სამინისტროს, აგროქიმს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, ლიტვის სსრ და სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოებს ... სამედიცინო მრეწველობისათვის ნედლეულისა და ძალების გამომშვები საწარმოებისა და წარმოებების ექსპლოატაციის დაუყოვნებლივ გაანალიზებისათვის საჭირო ყველა ზომა, გითვალისწინონ, რომ მათი შეჩერებით შეიქმნება საგანგებო ვითარება სამკურნალწამლო საშუალებებით ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესახებ, და მიღებული ზომების შესახებ მოახსენონ ამა წლის 15 თებერვლისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომისიას. ამ ვადისათვის სსრ კავშირის ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ხე-ტყის მრეწველობის სამინისტრომ და აგროქიმმა უნდა მოამზადონ და წარუდგინონ კომისიას შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან სსრ კავშირის ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება საჭიროა იმ საწარმოთა ექსპლოატაციისას ეკონომიური ნორმატივების უზრუნველყოფისათვის, შედიკამენტების წარმოებისათვის განკუთვნილ ნედლეულს რომ უშვებენ.

კომისია სთხოვს რუსეთის სფსრ უზენაეს საბჭოს, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, ლიტვის სსრ, სომხეთის სსრ უზენაეს საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს რაც შეიძლება მოკლე ვადებში განიხილონ საგანგებო სიტუაცია, რომელიც იქმნება ჯანმრთელობის დაცვაში სამედიცინო მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის გამომშვები საწარმოების საქვეუწყებო ტერიტორიებზე მათი საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებით და მიიღონ გადაწყვეტილება მოსახლეობის სამკურნალწამლო პრეპარატებით უზრუნველყოფის მდგომარეობის ნორმალიზაციის შესახებ.

თავის მხრივ კომისია უზრუნველყოფს მუდმივ კონტროლს ქიმიური მრეწველობის შესაბამის საწარმოებში ბუნებისდაცვითი ღონისძიებების შესრულებისადმი.

(გაგრძელება 3ე-ᲐᲑ 3Გ.)

გამოსვლები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

კლენუმზე გამომგზავრებამდე, თქვა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრმა, სარატოვის ელექტროაგრეგატული საწარმოო გაერთიანების უფროსმა ოსტატმა **ვ. ა. შაბანოვმა,** შევხვდი ჩვენი გაერთიანების საამქროს პარტორგანიზაციის მდივნებს. მათ გამოთქვეს იმედი, რომ დღევანდელი პლენუმი ხელს შეუწყობს პარტიის, მთელი ქვეყნის განახლების დაჩქარებას. ამასთან მდივნებმა აღნიშნეს, რომ „ნუ ხდებთ კომუნისტური პარტიის ბედი, ილაპარაკეს საზოგადოებაში მის როლზე, პარტიის მიერ წარმოებული გარდაქმნის მიმდინარეობაზე იმასთან დაკავშირებთან, რომ სულ უფრო ხშირად ესმიან თავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, იდეოლოგიას, ორგანიზაციულ საფუძვლებს.

ზოგიერთი მეცნიერი არაფორმალებთან, სხვადასხვა ჯგუფის ნაციონალისტებთან და ფარული ეკონომიკის საქმოსნებთან ერთად ქვეყანას უბიძგებენ ბურჟუაზიული რეფორმატორობის, კერძო საკუთრების აღდგენის, პოლიტიკური ანარქიის, პარტიის, როგორც მშრომელთა მოწინავე ორგანიზებული რაზმისათვის ძირის გამოთხრის გზაზე.

მაგრამ მოვლენათა ასეთ მიმდინარეობას მუშები ვერ დაეთანხმებიან. მიგვაჩნია, რომ შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე უნდა გავარკვიოთ პოზიციები, მოვახაოთ პერსპექტივები, საბოლოოდ გავიგიჟნოთ იმათ, ვისაც სურს გზას აცდინოს გარდაქმნის მზარდი ძალები.

ნამდვილ პარტიის წევრს ეჭვი არ ეპარება მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ჭეშმარიტებაში, სოციალისტური არჩევანის სისწორეში, საბჭოთა ხელისუფლების 70 წლის პოზიტიურ შედეგებში. იყო, რა თქმა უნდა, შეცდომები და დეფორმაციები, რომლებსაც მოჰყვა აწლანდელი სიძნელეები. მიაჩნია იქნებოდა ბეგფეჭერა, რომ ყველაფერი ეს წარსულს ჩაბარდა. წინ უდიდესი, ძნიშ მუშაობა მოგველის, მაგრამ სტრატეგია განსაზღვრულია — ქვეყანა ამოძრავდა. უნდა დავაჩქაროთ ცვლილებების ტემპი. ამისათვის თითოეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა გამოავლინოს აქტიური პოლიტიკური ძალა, რომელიც დაიცავს მუშათა კლასისა და გლეხობის ძირეულ ინტერესებს.

სარატოვის საოლქო პარტორგანიზაციაში, თქვა ორატორმა, ასეთი პროგრამები შემუშავებულია. ისინი ხელს უწყობს კომუნისტთა ინიციატივისა და აქტიურობის განვითარებას, სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნას. პარტიული კომიტეტები [illegible] სოციალურ პრობლემებს, და მედეგებიც დამაიმედებელია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო ორგანიზაციათა ცდილობს მშრომელთა ნდობა დაიმსახუროს პრაქტიკული საქმეებით, ალალ-მართალი და პატიოსანი პოზიციით. არჩევითი პარტიული ორგანოების წევრები, აპარატის მუშაკები დადიან პარტორგანიზაციებში, განმარტავენ კომუნისტთა წინაშე დასახულ ამოცანებს, მათი გადაწყვეტის გზებსა და მეთოდებს.

მშრომელებსა და რიგით კომუნისტებს აღელვებთ მნიშვნელოვანი საკითხები. ერთი მათგანია, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ უკეთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების შემოქმედებითი პოტენციალი. უფროდ, მათ [illegible] დამოუკიდებლობა სჭირდებათ.

გარდაქმნას ესაჭიროება შეუპოვარი მებრძოლები, და არა ობივატელები, რომლებიც პირადი მოსაზრებებით მზად არიან გასწორონ პარტბილეთი. ეს გმირობა კი არა, სამდაბლე და ფალიალის ღალატია. ზნეობრივად უწმინდური ელემენტებისაგან გაწმენდით ჩვენ ავამაღლებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როგორც საზოგადოების ავანგარდული ძალის ავტორიტეტს.

ბევრი გვთავაზობს, უკუგაგდოთ დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, როგორც ადმინისტრაციული დიქტატის განსახიერება, და შევცვალოთ იგი დემოკრატიული თანხმობის პრინციპი. მაგრამ პრაქტიკამ ცხადყო, რომ უმართვა მიტინგურ დემოკრატიზმს ყოველთვის როდი მოაქვს კონსტრუქციული შედეგები. ცენტრალიზმზე უარის თქმა გააძნელებს საერთო პარტიული გეზის შემუშავებას. დისციპლინის შესუსტება კი მის რეალიზაციას უბრალოდ შეუძლებელს ხდის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში პარტიული მასების ძალაუფლების [illegible] პროცესია. უნდა გაიზარდოს არჩევითი პარტიული ორგანოების წევრთა როლი და პასუხისმგებლობა, მათ უნდა დაუწესდეთ პირველადი პარტორგანიზაციების ყოველდღიური [illegible] ... ...

გაფოსვლები სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

(გაგრძელება)

ლემების ფონზე, რომლებიც ჯერ-ჯერობით, როგორც ჩანს, მალე ვერ გადაწყდება. დასაზუსტებელია, მისი აზრით, პროექტში გამოთქმული აქცენტიც, რომ პარტია იბრძოლეს სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების რეალიზაციისათვის. იქ ხომ დაწერილებით არის ჩამოთვლილი ყველაფერი — რესურსების ეკონომიით დაწყებული და კონვერსიით დამთავრებული. მაგრამ ყოველივე ეს არ შედის პარტიის მომავალი საქმიანობის პროგრამებივაში. სანაცვლოდ ლონისძიებებად შესახებია ის, რომ მხოლოდ მეურნეობრიობის საგებმო და საბაზრო მეთოდების გზით გაჯანსაღდება ეკონომიკა, თუ რადიკალურად არ გადადგეთ ნაკუთრების პრობლემას ან არ დავამყარებთ საჭირო დისციპლინას.

გარკვეულ კმაყოფილებას იწვევს, თქვა საწარმოო გაერთიანება „ჩელიაბინსკის ვ. ი. ლენინის სახელობის სატრაქტორო ქარხნის“ პარტკომის მდივანმა **ვ. ვ. პლატონოვმა,** რომ პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტმა მოიცვა ბევრი წინადადება და აზრი, მათ შორის ჩვენი გაერთიანების კომუნისტების, ჩელიაბინსკის ოლქის კომუნისტების მიერ გამოთქმული.

მაგრამ პროექტი — და ეს, ალბათ, ბუნებრივია — არ ასახავს პარტიაში, საზოგადოებაში წამოჭრილ ბევრ საკითხს. რაც მთავარია, ვერ ამართლებს არა მარტო კომუნისტების, არამედ უპარტიოთა იმედებს.

ამ ხარვეზის შევსება, ორატორის შეხედულებით, შეუძლია მხოლოდ ფართო დისკუსიას, ალტერნატიულ საფუძველზე მთელი რიგი პრობლემების გამო თითოეულ კომუნისტთან მოთათბირებას, იქნებ პარტიის XXVIII ყრილობის მოწვევამდე პარტიაში რეფერენდუმის მოწყობაც მიზანშეწონილი იყოს. კერძოდ, ასეთი მიდგომა შეიძლება განხორციელდეს პარტიის ახალი წესდების პროექტის განხილვის დროს.

პარტია, ცენტრალური კომიტეტი, სულ უფრო ჩამორჩებიან დემოკრატიზაციის საკითხებში სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ამიტომ ორატორმა მხარი დაუჭირა წინადადებას იმის შესახებ, რომ საჭიროა პლატფორმის პროექტში აისახოს საგანგებო ღონისძიებანი, რომლებიც შეიძლება გახდეს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში პარტიის წარმომადგენლთა, აგრეთვე მთავრობაში მომუშავე კომუნისტთა ერთგვარი სამოქმედო პროგრამა.

შეეხო რა ეკონომიკის გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის პროცესებს, მან აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის ბევრი უბედურება არაკომპეტენტურობის, ზოგჯერ კი ცენტრში დაშვებული შეცდომების შედეგია.

მაგალითად, ხელფასის ოდენობაზე შეზღუდვების მოხსნამ ნამდვილი ბაკქანალია გამოიწვია ზოგიერთ დარგში. ჩელიაბინსკის ავტომატრაქტორო სამეცნიერო ინსტიტუტის ფილიალში, მაგალითად, მრავალი თანამშრომლის თვიური ხელფასი თვეში 13 ათას მაღეთს აღემატება. ასეთი გარდაქმნა მუშა-მოსამსახურეთა გაოცებასა და პროტესტს იწვევს. უნდა ითქვას, რომ ნ. ი. რიჟკოვმა მთავრობის სხდომაზე ერთი წლის წინათ წამოჭრა ეს საკითხები. მაგრამ მთელი წელი დასჭირდა მდგომარეობის გამოსწორებას.

უარყოფითი აზრი გამოთქვა ორატორმა რეგიონალურ სამეურნეო ანგარიშზე. ორატორის თვალსაზრისი: იმ სახით, როგორითაც სამეურნეო ანგარიშია ახლა ასახული შესაბამისი კანონის პროექტში, ეს არის განკერძოებისა და კარჩაკეტილობის პირდაპირი გზა. ხოლო ცენტრის მოთხოვნა სახალხო მოხმარების საქონლითა და სურსათით რეგიონის თვითუზრუნველყოფის შესახებ, სხვა არა არის. რა, თუ არა ცდა, ცენტრის შეცდომებისათვის პასუხისმგებლობა დააკისროს ადგილობრივ ორგანოებს. პარტკომის მდივანმა წინადადება წამოაყენა უფრო დაწვრილებით და კონკრეტულად ჩამოყალიბდეს ეკონომიკური პრობლემები პლატფორმის მესამე თავში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო წლების ზოგიერთი გადაწყვეტილება, თქვა მან შემდეგ, ნეგატიურად აღიქმება პარტიულ ორგანიზაციებში. მაგალითად, ბევრი კომუნისტი ვერ მიხვდა რა აუცილებელი იყო სკკ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის აპრილის პლენუმის მოწყობა. აღინიშნება სკკ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობისადმი მიძღვნილი 1989 წლის მარტის პლენუმის დაბალი დონე, წინააღმდეგობა გამოიწვია სკკ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს შექმნის შესახებ 1989 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებამაც. როგორც ჩანს, ასეთ საკითხებზე უნდა მოვეთათბიროთ პარტიულ ორგანიზაციებს.

ამა თუ იმ ხელმძღვანელის კომპეტენტურობის მიზეზებისა და შეფასების სწორი გაგებისათვის უაღრესად საჭიროა კომუნისტებმა იცოდნენ კონკრეტულ საკითხებში სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ზოგიერთი წევრის პოზიციაც. რთული და ძნელი პროცესები მიმდინარეობს ეკონომიკაში, მაგრამ ცენტრალური კომიტეტის მდივანს, პოლიტბიუროს წევრს ამხანაგ სლიუნკოვს ამ საკითხზე აზრი არ გამოუთქვამს. ჩვენ არ ვიცნობთ მის პოზიციას. არ ვიცით, რა პოზიციას ადგას ამხანაგი მედვედევი ბევრ იდეოლოგიურ საკითხში. არადა, ძალზე გვსურს ვიცოდეთ. გაუგებარია პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის ამხანაგ რაზუმოვსკის დუმილი. იმ კრიზისული პროცესების შესახებ, რომლებიც მიმდინარეობს მთელ რიგ საოლქო პარტიულ ორგანიზაციებში. კომუნისტთა და უპარტიოთა საყოველთაო გაოცებას იწვევს ის, თუ რატომ ხდება, რომ, როცა სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე ზშირად ხელოვნებით აკრიტიკებენ და ჩირქს სცხებენ პარტიას, პოლიტბიუროს წევრები, კომუნისტი დეპუტატები — ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში სახალხოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები, დუმილს ამჯობინებენ. და ებსაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ, და რა დასამალია, უკვე აყენებენ ზიანს როგორც საერთოდ საზოგადოებას, ისე მის ცალკეულ მოქალაქეებს. აქაც სიზუსტე და მკაფიო მიდგომაა საჭირო.

დროა სახალხო ხელისუფლების ორგანოებმა გაარკვიონ ურთიერთობა ქვეყანაში არსებულ ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობასთან და უთხრან ხალხს, სად ისახავენ მიზნად ნამდვილ დემოკრატიას, და სად ჭარბობს პროგრესის ნაცვლად დესტრუქციული, დამანგრეველი მოქმედება.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სრულიად საფუძვლიანად ვუთმობთ რა დიდ ყურადღებას კანონშემოქმედებას სოციალურ-ეკონომიკურ დარგში, ჩვენ ძალზე ვაყოვნებთ მუშაობას ქვეყანაში საზოგადოებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შექმნისათვის.

ბოლო წლების ბევრი უბედურება დაკავშირებულია, ორატორის აზრით, იმასთან, რომ პარტიის, საბჭოებისა და სამეურნეო მართვის ორგანოების ფუნქციების განაწილების პროცესი მეტად ნელა და წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს. იმ დროს, როცა პარტიულმა კომიტეტებმა ნელ-ნელა უკუაგდეს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირდაპირი დირექტიული მართვის ტრადიციული მეთოდები, საბჭოებმა და მათმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა არსებითად ვერ შეძლეს ეკისრათ ყველაფერი, რაც ორგანულად ეკუთვნის მათ ბუნებას, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ნამდვილ ორგანოებს. ეს ერთი როდია იმ მიზეზთა მთელი კომპლექსიდან, რომლებმაც გამოიწვია ის, რომ სახალხო მეურნეობის მართვა ბოლო დროს მკვეთრად შესუსტდა და უაღრესად ნეგატიურ გავლენას ახდენს მის განვითარებაზე.

აქ სიძნელეები, მიაჩნია მთავრობის მეთაურს, განპირობებულია იმით, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერა და ვერ გავრკვეულვართ, როგორ უნდა იმოქმედოს პარტიამ, როგორც პოლიტიკურმა ლიდერმა. რაიონული, საქალაქო, საოლქო პარტიული კომიტეტები კვლავ სამეურნეო საქმეებს მართავენ, რითაც ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მაგივრობას ეწევიან.

რატომ ხდება, რომ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ბევრი სწორი, კარგი გადაწყვეტილება ასე ძნელად ხორციელდება ან ქაღალდზე რჩება? ორატორის აზრით, მთავარი მიზეზი ახლა ის არის, რომ საჭირო ხელისუფლებრივი უფლებამოსილებები არ გააჩნიათ საბჭოებს და მათს აღმასრულებელ ორგანოებს. ეს პარტიული ორგანოების ბრალი როდია, როგორც ზოგი აცხადებს, რომლებსაც, თითქოსდა, არ სურდეთ დასთმონ თავიანთი გავლენის სფეროები. მიზეზი გახლავთ ნახევარი საუკუნის განმავლობაში შექმნილი პარტიულ-სახელმწიფო სამმართველო მექანიზმის სისტემა. არ გადაიჭრება ეკონომიკური, სოციალური და სხვა პრობლემები, სანამ ქვეყანას არ აეღოს ეროვნებათაშორისი შეტაკებები, უკანონო გაფიცვები, როცა რესპუბლიკებს მიაჩნიათ, რომ თავისუფალი არიან სფეროთა კანონების შესრულებისაგან მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ეს კანონები მათ ხელს არ აძლევს.

ასეთთასობით ლტოლვილს, თქვა დასასრულ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, მოეშალა მშობლიური კერა და ბრალად სდებს სახელმწიფოს, რომ მან ვერ უზრუნველყო მათი პირადი უშიშროება და ვერ დაიცვა მათი ქონება. არის კანონები ეროვნებათაშორისი შუღლის გღვივებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, მაგრამ მათ არ ვიყენებთ. არის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის კანონები, მაგრამ მათი ქმედითობა შეკვეცილია იმის გამო, რომ სამართალდამცავ ორგანოებს თავს დაატყდათ ხელოვნური კრიტიკის ტალღა. ერთი სიტყვით, ყოველივე ეს დღეს აგრეთვე ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა გახდა. მაგრამ ახლა აღმასრულებელი ხელისუფლების ყველ ცდას, უზრუნველყოს წესრიგი არსებული კანონების ფარგლებშიც კი, ყველგან აძლევენ დემოკრატიზმ თავდასხმის, საჯარობაზე ეერთნის მიტანის კვალიფიკაციას. ამ დროს კი ხალხი სამართლიანად აღშფოთებულია იმით, რომ ხელისუფლების ორგანოები ვერ ახორციელებენ მტკიცე ღონისძიებებს მზარდი სამართალდაწინაღმდეგო გამოვლინებების აღსაკვეთად.

სიტუაცია იმდენად დაძაბულია, რომ მთავრობას აქედან თავის დაღწევის გზად მიაჩნია ხელისუფლების ყველა ორგანოს მტკიცე, თანამიმდევრული მოქმედება, ქვეყნის მოქალაქეთა უფლებების დაცვისათვის სახელმწიფოს კანონიერ შესაძლებლობათა გამოყენება. ორატორი დარწმუნებულია, რომ საზოგადოება მხარს დაუჭერს ასეთ გზს.

კარგია, რომ ცენტრალურ კომიტეტში უკვე ყურად იღებენ პირველადი ორგანიზაციების ხმას, აღნიშნა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანმა **ი. ი. შელნიკოვმა.** ეს ნორმად უნდა იქცეს.

ახლა მიამიტობა იქნება, ვინმე არწმუნონ, რომ დემოკრატია სასარგებლოა, რადგან ზოგადდემოკრატიულ თეზისებს უმრავლესობა იზიარებს. მაგრამ რჩება კონკრეტული კითხვები: ვინ ავირჩიოთ ყრილობის დელეგატებად, როდის მოვაწყოთ არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში, როგორ და როდის გავმართოთ თვით ყრილობა? ან ასეთი რამ: ბოლოს და ბოლოს, როდის შევიტყობთ ცენტრალური კომიტეტის, მისი სამდივნოსა და პოლიტბიუროს წევრების თვალსაზრისს არა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა გადმოცემით, არამედ თვით მათგან? ჩვენ ხომ გვინდა ცენტრალურ კომიტეტში ვიხილოთ არა პორტრეტების გალერეა, არამედ ცოცხალი ადამიანების კრება, რომლებიც ჩვენთან ერთად განიცდიან, კამათობენ, იქნებ ცდებიან კიდეც, მაგრამ ეძებენ ყველაზე ძნელი, პრინციპული საკითხების გადაწყვეტის გზას.

ასრულებს კი ცენტრალური კომიტეტი XIX პარტკონფერენციის რეზოლუციას „საჯაროობის შესახებ“? ამ კითხვაზე პასუხი ყრილობამ უნდა გაგვცეს.

რატომ ლაპარაკობენ ასე დაბენებით პირველად ორგანიზაციებში პირდაპირი არჩევნების აუცილებლობის შესახებ, დასვა კითხვა ორატორმა. ამ გზით აირჩევენ იმით, ვისი პოზიციაც უახლოდგება რიგითი კომუნისტების პოზიციას. მაგრამ არის კიდევ ერთი მიზეზი: ჩვენ უნდა ვეწდობოდეთ ადამიანებს, რომლებიც განსაზღვრავენ პარტიის ბედს, ქვეყნის მომავალს. ნდობის საკითხი პარტიის საარსებო საკითხია. ჩვენ არ მოვეჭიდეთ ბრძოლას ინალიზსა და შეფასებას. ეს არის პარტიის განწმენდა.

სხვათა შორის, უნივერსიტეტში წამოაყენეს წინადადება: თითოეული პარტიული ხელმძღვანელი აღრიცხვაზე უნდა იყოს არა აპარატის პარტორგანიზაციაში, არამედ ერთ-ერთ დიდ პირველადს ორგანიზაციაში.

დელეგატთა კორპუსის ფორმირების პროცესი უკვე დაიწყო. იქმნება და კვლავაც წარმოიქმნება სხვადასხვა გაერთიანება და კლუბი. ეს უკვე რეალობაა. არ მინდა წავაწყდეთ ვინმეს პრეტენზიებს მონოპოლიაზე, ცდებს — მითითებისონ უფლება დაყონ კანდიდატები დემოკრატებად და ანტიდემოკრატებად, პროგრესულ და არაპროგრესულ ადამიანებად. კომუნისტები შეფასებას კენჭისყრით მისცემენ.

ყრილობის გზაზე საშუალება გვაქვს „განვაახლოთ“ და გავაძლიეროთ ყველა დონის ხელმძღვანელი რგოლები. მოვაწყოთ პირველადი, საოლქო თუ რესპუბლიკური პარტიული კომიტეტების ანგარიშგება-არჩევნები.

